

ქართულ-ოსური კონფლიქტის იდენტობის პარადოქსი

შესავალი

XX საუკუნის 80-იან წლებში ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების გააქტიურების საწყისი წერტილი ქართული ენის შენარჩუნებისთვის ბრძოლა გახდა. სწორედ მშობლიური ენის დაცვა იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც ქართველების ეროვნული კონსოლიდაცია და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა განაპირობა. ენის დაცვის მოტივით გაერთიანებულ მოქალაქეებში ჩნდება ნაციონალიზმის განცდა, რაც კლასიკური გაგებით, რომ ვთქვათ, ნაციის ანუ ერის დამოუკიდებელ და სუვერენულ ორგანიზაციად - სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საწყისია. ხოლო მოძრაობის მთავარი სამიზნე სსრ კავშირის რეჟიმი გახდა. ნაციონალიზმის დისკურსისთვის მნიშვნელოვანია „ჩვენ და ისინი“, ანუ ის რაც ერს აერთიანებს და რაც სხვებისგან განასხვავებს. შესაბამისად, ქართული ნაციონალიზმისთვის ეს მარკერი ენა აღმოჩნდა.

ენობრივი სპეციფიკის განსაზღვრა მნიშვნელოვანი ასპექტია ქართული ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევისას, ვინაიდან ქართველი ერის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში ჩნდება ეთნონაციონალისტური კონფლიქტები, რომლებიც შემდეგნაირად ფორმირდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი. საქართველოს სსრ-ს მხრიდან ენის პროგრამის მიღების შემდეგ, რომელიც რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის სწავლებასა და ადმინისტრაციული საქმის წარმოებას ქართულ ენაზე სავალდებულოს ხდის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული დაჯგუფებები სეპარატიზმისთვის ენის პროგრამას იყენებენ. სეპარატისტები ავტონომიებში ქართულის სახელმწიფო ენად ქცევას შეეწინააღმდეგნენ და ამის საფუძველზე ავტონომიებმა დამოუკიდებლობა მოითხოვეს. აქედან გამომდინარე, ქართული ნაციონალიზმის პარადოქსიც სწორედ რომ ქართულ ენას უკავშირდება, რომელმაც ერთი მხრივ გააერთიანა ქართველები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გარშემო და მეორე მხრივ, რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სეპარატიზმი წარმოქმნა.

ესსეს მთავარი ჰიპოთეზა არის ის, რომ ეთნიკურად და ენობრივად ისეთ მრავალფეროვან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ეროვნული იდენტობის მარკერად ქართული ენის გამოყენებამ და ენობრივი იდენტობის პოლიტიკის რადიკალიზაციამ ხელი შეუწყო ქართულ-ოსურ კონფლიქტების გამწვავებას. საკითხის განხილვის ორიენტირად ვიყენებ ფრენსის ფუკუიამას „იდენტობაში“ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თანამედროვე სამყაროში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი ფსიქოლოგიურია - ბრძოლა აღიარებისათვის. ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფებს აქვთ სურვილი აღიარონ და სხვების პატივისცემა დაიმსახურონ.

საქართველოსთვის იდენტობის პრობლემა კვლავაც აქტუალურია, რომელიც აჩვენებს იმას, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფოს არ გააჩნია ეროვნული იდენტობის ისეთი პოლიტიკა, რომელიც ერთი მხრივ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების წინაპირობა იქნებოდა და მეორე მხრივ, სხვა ეთნიკური კონფლიქტების პრევენცია. იდენტობის ის მარკერები, რაც კონფლიქტის ორ მხარეს ჰქონდა/აქვს სრულიად უგულვებელყოფს ერთი მეორის ინტერესებს. დღეს პრობლემა დგას შემდეგნაირად: ქართული საზოგადოება და პოლიტიკური კლასი მოწოდებულია დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორია, მაგრამ მას არ სურს შეცვალოს XX საუკუნის დროინდელი ქართული ნაციონალიზმის დისკურსი, სადაც პრაქტიკულად სხვა ეთნოსის ადგილი არაა.

ძირითადი ნაწილი

ძნელი წარმოსადგენია, მოახერხებდა თუ არა ქართული საზოგადოება ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდაციას რომ არა 1977 წლის ახალი საბჭოთა კონსტიტუცია¹. აღნიშნული კონსტიტუციის მიხედვით, ერებს შორის განსხვავებები უნდა შემცირებულიყო, რის გამოც საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ კონსტიტუციაში ცვლილებების მომზადება დაიწყო, სადაც სახელმწიფო ენა ქართული აღარ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულმა ფაქტმა ქართულენოვან მოსახლეობაში დიდი აღშფოთება მოიპოვა, რის გამოც რამდენიმე დღის განმავლობაში ეროვნული ენის დასაცავად ათასობით ადამიანი გამოდიოდა. ეს ქართული ნაციონალიზმისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დებიუტი და პირველი გამარჯვება იყო, ვინაიდან ცენტრალური მოსკოვი ქართველი ერის წინაშე დათმობაზე წავიდა და ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა². ამასთანავე ამ მოვლენებმა სათავე დაუდო აფხაზეთის ავტონომიის სესეციისკენ მისწრაფებებს, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი საქართველოს სსრ-გან გამოყოფასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციასთან მიერთებას ითხოვდა. თავის დროზე მოსკოვმა აფხაზეთის აღნიშნული მოთხოვნა უარყო.

ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა გორბაჩოვის პერესტროიკის შემდეგ გააქტიურდა, რომელიც საფუძვლად დაედო სუვერენული რესპუბლიკის სსრ კავშირიდან გასვლის იურიდიული საფუძვლის შენარჩუნებას. მოძრაობის ცენტრალური ნაწილი კვლავაც ქართული ენის პოლიტიკა იყო. რის გამოც, ქართულის, როგორც სახელმწიფოს კონსტიტუციური ენის ამოქმედების მოწოდებები ისმოდა. მაგალითად, „ლიტერატურულ საქართველოში“ 1989 წლის 27 იანვარს პროფესორი თამაზ შავგულიძე აქვეყნებს შემდეგ მოთხოვნას: „ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საქმის

¹ Конституция СССР 1977г.

² ბენდიაშვილი, ალექსანდრე, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე. 2020. *საქართველო XIX-XX საუკუნეებში*, 451.

წარმოება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე³. აღნიშნული მოწოდებები ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციისთვის მნიშვნელოვანი მიღწევა აღმოჩნდა, რამაც 1988-1989 წლების აქციების დროს ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ გააერთიანა. ქართული საზოგადოების გაერთიანების პარალელურად კი ურთიერთობა იმაზეზოდა ოსეთის ავტონომიურ ოლქთან და დაპირისპირების პოლიგონი კვლავაც ენობრივი პოლიტიკა იყო.

კონფლიქტის გაღვივება 1989 წლის 16 მარტის „ლიხნის სამიტმა“ გამოიწვია, სადაც აფხაზებმა დამოუკიდებლობა მოითხოვეს. ამის ფონზე ქართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მიტინგების სერია მოაწყო. უცნაურია, მაგრამ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დამაზვის ფონზე აქტიურდება ოსური არაფორმალური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“, რომელიც 4 აპრილს „ლიტერატურულ საქართველოში“ აფხაზების სუვერენიტეტის დაცვისა და ანტიქართული განწყობების წერილს⁴ აქვეყნებს. აღნიშნულ წერილს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭო მკაცრად გმობდა და ემიჯნებოდა თავის 6 მაისის მიმართვაში, რომელსაც ასრულებდა: „მხოლოდ მეგობრობას, მხოლოდ ურთიერთთანადგომასა და მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი ხალხების ნამდვილი აყვავება“⁵. ოფიციალური ოსეთის მხრიდან აღნიშნული მიმართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რათა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა არ გაართულებულიყო, რაც ქართველმა ნაციონალისტებმა ვერ გამოიყენეს. ქართულმა მხარემ კვლავაც ეროვნული ენის იდენტობის მარკერის საშუალებით სცადა „ადამონ ნახასის“ წერილთან გამოპასუხება. 1989 წლის 2 ივნისს დიანა მაჩაბელი „ადამონ ნახასის“ წერილს ასე პასუხობს: „ა. ჩოჩიევს უნდა ვკითხოთ, თუ შეწუხებულა ოდესმე ქართველი „ძმების“ ჩაგვრის გამო. მაღაზიაში შესულმა ქართულად რომ იკითხო, პასუხს არავინ გაგცემს“⁶. მოცემული ციტატიდან კარგად ჩანს, რომ ქართული ეროვნული მოძრაობისა და ნაციონალიზმის ცენტრი სწორედ ენა და ენობრივი იდენტობა იყო, რასაც ქართველი ნაციონალისტები ოსებთან დაპირისპირების დისკურსად იყენებდნენ. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის საკითხი ქართულ-ოსური კონფლიქტის ფაქტობრივ თუ რეალურ მიზეზად იქცა, რადგან მხარეების რადიკალიზაცია სწორედ რომ ენობრივ პოლიტიკას ეხებოდა. ქართველი ნაციონალისტები აქტიურად ითხოვდნენ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვას და „ლიტერატურულ საქართველოში“ არაერთ პუბლიკაციას უძღვნიდნენ. ქართველების მხრიდან ოსეთის ოლქში ქართული

³ შავგულიძე, თამაზ. 1989. „ლიტერატურული საქართველო“. Sutori.com

⁴ ჩოჩიევი, ალან. 1989. *ძვირფასო აფხაზო მეგობრებო!*. ლიტერატურული საქართველო. Sutori.com

⁵ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატთა მიმართვა „ლიტერატურულ საქართველოს“. 1989 წლის 6 მაისი. Sutori.com

⁶ მაჩაბელი, დიანა. 1989. *გაღმით შეედავე და გამოღმით შეგრჩება*. ლიტერატურული საქართველო. Sutori.com

ენის ასეთმა იძულებითმა თავს მოხვევამ, ქართველებსა და ოსებს შორის იდენტობების დაშორება და ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია.

ქართულ-ოსური დაპირისპირებების მეორე ნაწილი უფრო რადიკალური აღმოჩნდა, ვიდრე ეს მანამდე „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე იყო: „9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტური რეჟიმი ნომინალური გახდა. საქართველოში სულ უფრო მეტ გავლენას იძენდნენ ულტრარადიკალები“⁷. ამის ძირითადი მიზეზი პირველი მრავალპარტიული არჩევნები იყო, რომლის შედეგადაც სახალხო ყრილობა აირჩიეს⁸. სახალხო ყრილობაში კი კომუნისტების წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ნაციონალისტებიც მოხვდნენ. მანამდე დაწყებული ქართული იდენტობის ენის გარშემო გამოკვეთა და მისი ოსური იდენტობისგან გამოცალკევება, უკვე პოლიტიკის სფეროში გადავიდა, რამაც გამოიწვია ოსეთის მხრიდან საკუთარი იდენტობის პოლიტიკის გააქტიურება. მაშინ როცა 1989 წლის 25 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ქართული ენის პროგრამის შესახებ, 4 სექტემბერს დაახლოებით ასეთივე პროგრამა ოსეთის ოლქმაც წარადგინა. 26 სექტემბერს შეკრებილმა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მოითხოვა, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილება შესულიყო და ოსეთში სახელმწიფო ენად ოსური გამოცხადებულიყო. კერძოდ, კონსტიტუციის 75-ე მუხლს დაემატებოდა: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური“. აღნიშნულს ოსეთისა და ოსებისთვის არ ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ეს იყო რეაქცია ქართველი ნაციონალისტების იდენტობის პოლიტიკაზე, სადაც ოსების ადგილი არ იყო. ამის დასტური არის ის, რომ დღეს ე.წ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ოფიციალურ ენად რუსულს იყენებს. ენის პოლიტიკას ოსებისთვის არ ჰქონია პრაქტიკული დანიშნულება, რამდენადაც საკუთარი იდენტობის გამოკვეთის, იმ პირობებში, როცა ის ქართველი ნაციონალისტების მიერ უგულვებელყოფილი იყო.

სამხრეთ ოსეთის სახალხო საბჭომ 1989 წლის 10 ნოემბერს ოსური ენა სახელმწიფო ენად დამტკიცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოსებისთვის ენის იდენტობა საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდა და ის პოლიტიკის საგნად აქციეს. 16 ნოემბერს საქართველოს სსრ უამღლესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის მიერ 10 ნოემბერს დამტკიცებული ენისა და ავტონომიის სტატუსი ანულირებულად გამოაცხადა, რადგან პროცედურული დარღვევებით იყო გადაწყვეტილებები მიღებული. ოსური მხარისთვის, რომელიც ამ პერიოდში უკვე იდენტობის კრიზისში იყო შესული და ყველა ფასად დაიცავდა იმ იდენტობას, რომელიც მათი, როგორც ეთნოსის გამომხატველი იყო, ქართული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები უფრო ამწვავებდა მათ აგრესიას. 10 ნოემბრის დადგენილების ანულირების

⁷ ბენდიაშვილი, ალექსანდრე, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე. 2020. *საქართველო XIX-XX საუკუნეებში*, 477.

⁸ Union of Soviet Socialist Republics, Date of Elections 26 March to 23 May 1989. Archive.ipu.org.

შემდეგ, ქართველმა ნაციონალისტებმა ოსეთის ოლქში 23 ნოემბერს დიდი აქცია გამართეს. აღნიშნული აქცია ოსებმა აღიქვეს, როგორც ქართველების მხრიდან მათთან აგრესიული დაპირისპირების მზადყოფნა, რამაც მხარეებს შორის ურთიერთობების ესკალაცია გამოიწვია. ამასთანავე მხარეებს შორის კონფრონტაციამ გამოიწვია ის, რომ ოსეთის პოლიტიკური ნომენკლატურა არაფორმალურ გაერთიანება „ადამონ ნიხასს“ უერთდება. მანამდე ოსეთის პოლიტიკური ნომენკლატურა „ადამონ ნიხასს“ ემიჯნებოდა, თუმცა ის ფაქტი, რომ 1990 წლიდან ოსური ნომენკლატურა „ადამონ ნიხასის“ რადიკალიზმს უერთდება ცხადყოფს იმას, რომ ქართულ და ოსურ მხარეებს შორის იდენტობები საკმაოდ დაცილებული იყო და აღარ არსებობდა საერთო ენის გამონახვის არც სურვილი და არც ამის პოლიტიკური რესურსი. ოსური მხარისთვის ქართველთან კონფლიქტში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რეგიონალური პარტიების აკრძალვამ, რამაც პირდაპირ „ადამონ ნიხასის“ გაერთიანებას დაარტყა. ამ პოლიტიკურმა ნაბიჯებმა ოსებისთვის ცხადყო, რომ იმ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სისტემაში, რომელსაც ქართველი ნაციონალისტები ქმნიდნენ, საკუთარ თავს ვერ გამოავლენდნენ. რამაც ფაქტობრივად გამოიწვია ოსების პოლიტიკურად თამაშგარე დატოვება და ის სისხლიანი მოვლენები, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტის სახელითაა ცნობილი.

დასკვნა

ქართულ-ოსურ კონფლიქტზე საუბრისას თითქოს ამ დაპირისპირების ენობრივი მიზეზი ფართო საზოგადოებისთვის გამოკვეთილი არაა. „საქართველო - ქართველებისთვის“ არის არგუმენტი, რითიც ოსები ქართველებს კონფლიქტში ადანაშაულებენ. არსებული ფაქტებითა და დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ აღნიშნული ციტატა ზვიად გამსახურდიამ თქვა, თუმცა თვითონ ის ფაქტი, რომ დაპირისპირებული მხარე ამ არგუმენტს იყენებს, ბევრის მეტყველია. იმ საქართველოში, რომლის შექმნასაც ქართველი ნაციონალისტები აპირებდნენ ოსები თავიანთ თავს ვერ ხედავდნენ, ვინაიდან ქართველი ნაციონალისტების იდენტობის პოლიტიკის მთავარი ხაზი ქართულ ენაზე გადიოდა. დაპირისპირების, როგორც პუბლიცისტური, ისე პოლიტიკური ნაწილი სწორედ ენობრივი იდენტობების ჯახია. ქართველი ნაციონალისტებისთვის ენა იყო ის, რისი საშუალებითაც ქართველების კონსოლიდაციას ახერხებდნენ, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საწინდარი გახდა. ამავდროულად ოსებთან ეთნიკური კონფლიქტი ქართული ენის ნაციონალიზმის დისკურსად გამოყენებამ განაპირობა. ნაციონალიზმის ამგვარმა ფორმამ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან ისინი ამ იდენტობის გარეთ დარჩნენ. შესაბამისად, სახელმწიფოში, რომელსაც ქართველი ნაციონალისტები ქმნიდნენ საკუთარ იდენტობას ვერ ხედავდნენ, რამაც ოსებში დაუცველობისა და დამცირების გრძნობა გააჩინა. საპასუხოდ მათ ოსური ენის იდენტობით სცადეს ქართულ ნაციონალიზმთან

დაპირისპირება. ამგვარად, ქართულ-ოსური კონფლიქტის იდენტობის პარადოქსი ქართული ენაა.

გამოყენებული ლიტერატურა*:

- ბენდიაშვილი, ალექსანდრე, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე. 2020. *საქართველო XIX-XX საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.*
- ფუკუიამა, ფრენსის. 2018. „იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის“. თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.
- მარკოზია, ნინო. 2015. *ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 80-იან წლებში*. PHD: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტი. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/167012/1/Disertacia.pdf> (28.08.2021).
- მაჩაბელი, დიანა. 1989. *გაღმით შეედავე და გამოღმით შეგრჩება*. ლიტერატურული საქართველო. <https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd> (28.08.2021).
- საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. 1977 წლის 7 ოქტომბერი. <https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd> (28.08.2021).
- სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატთა მიმართვა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“. 1989 წ. 6 მაისი. <https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd> (28.08.2021).
- შავგულიძე, თამაზ. 1989. ლიტერატურული საქართველო. <https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd> (28.08.2021).
- ჩოჩიევი, ალან. 1989 წ. 4 აპრილი. *ძვირფასო აფხაზო მეგობრებო!*. გაზეთი ლიტერატურული საქართველო. <https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd> (28.08.2021).
- ჯიშკარიანი, დავით. 2019. *თბილისი და ცხინვალი: სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები*. „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“. http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/28 (28.08.2021).
- ჭანკვეტაძე, ნათია. 2019. ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა. „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“. http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/27 (28.08.2021).
- Union of Soviet Socialist Republics, Date of Elections 26 March to 23 May 1989. Archive.ipu.org. http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/USSR_1989.PDF (28.08.2021).

- * - ნაშრომი შეიქმნა ნაციონალიზმისა და კონფლიქტის კვლევის ინსტიტუტის ინიციატივით განხორციელებული პროექტის „ქართულ - ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის” ფარგლებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით

ავტორი: ნინო ქოთოლაშვილი